**ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი**

**ფინანსური ანგარიშგება**

*2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*

*დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შინაარსი

**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა** ..... 3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ..... 5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ..... 6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება ..... 7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება ..... 8
1. შესავალი ..... 9
2. მომზადების საფუძველი ..... 9
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები ..... 10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები ..... 19
5. ამონაგები ..... 20
6. სხვა შემოსავლები ..... 22
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები ..... 22
8. გრანტის ხარჯი ..... 22
9. არასაოპერაციო ხარჯი ..... 22
10. ძირითადი საშუალებები ..... 23
11. არამატერიალური აქტივი ..... 23
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ..... 23
13. ფული და ფულის ეკვივალენტები ..... 24
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ..... 24
15. კაპიტალი ..... 24
16. ფინანსური რისკი ..... 24
17. პირობითი ვალდებულებები ..... 27
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ..... 28
19. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები ..... 28

**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

**ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის**

მფლობელსა და ხელმძღვანელობას

***დასკვნა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე***

***პირობითი მოსაზრება***

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი ააიპ ,,ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის" (შემდგომში „კომპანია") ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ამავე თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის არსებით სააღრიცხო პოლიტიკების შეჯამებას.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და ინდივიდუალურ ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

***პირობითი მოსაზრების საფუძველი***

კომპანიას არ განუხორციელებია ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მოვახდინეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ძირითადი საშუალებების ოდენობისა და მდგომარეობის შესახებ. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები წარდგენილია 5.453.736 ლარით. ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რამე სახის ჩასწორება ძირითადი საშუალებების მონაცემებთან და მასთან დაკავშირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული სხვა ფინანსურ ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

***ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე***

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

***აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე***

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ

ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

სალომე კიკნაძე, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-337043)

შპს „კკ ჯგუფი“ (SARAS-F-326522)

15 ოქტომბერი, 2025

თბილისი, საქართველო

Salome Kiknadze 01027027241

Digitally signed by Salome Kiknadze
Date: 2025.10.15 11:43:06

შენიშვნები 9-28 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

**2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**
*(ქართული ლარი)*

| | შენიშვნა | 2024 | 2023 |
|---|---|---|---|
| ამონაგები | 5 | 11.306.028 | 10.557.352 |
| **საერთო მოგება** | | **11.306.028** | **10.557.352** |
| სხვა შემოსავლები | 6 | 654.530 | 2.434.249 |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | 7 | -9.145.063 | -7.733.713 |
| გრანტის ხარჯი | 8 | -3.201.065 | -2.289.268 |
| **საოპერაციო მოგება/ზარალი** | | **-385.569** | **2.968.621** |
| არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი | 9 | -906.476 | -3.439.014 |
| **დაუფარავი ზარალი** | | **-1.292.045** | **-470.393** |

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 6-9 გვერდებზე, ააიპ „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა“ ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 2025 წლის 15 ოქტომბერს, კომპანიის სახელით ფინანსურ ანგარიშგებას ხელს აწერს:

მარინე იოსელიანი
რექტორი

ვასილ ქავთარაძე
მთ. ბუღალტერი

15 ოქტომბერი 2025 წელი

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

**2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

*(ქართული ლარი)*

| | შენიშვნა | 2024 | 2023 |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | |
| ძირითადი საშუალებები | 10 | 5.453.736 | 3.754.290 |
| არამატერიალური აქტივები | 11 | 107.872 | 51.615 |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | **5.561.608** | **3.805.905** |
| **მიმდინარე აქტივები** | | | |
| მარაგები | | 11.340 | 11.964 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 12 | 1.519.598 | 1.770.649 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 13 | 1.860.558 | 4.212.455 |
| **სულ მიმდინარე აქტივები** | | **3.391.496** | **5.995.068** |
| **სულ აქტივები** | | **8.953.104** | **9.800.973** |
| **კაპიტალი და ვალდებულებები** | | | |
| **კაპიტალი** | | | |
| გადაფასების რეზერვი | | 1.790.285 | 1.790.285 |
| გაუნაწილებელი მოგება/ზარალი | | 4.891.839 | 6.183.884 |
| **სულ კაპიტალი** | | **6.682.124** | **7.974.169** |
| **მოკლევადიანი ვალდებულებები** | | | |
| საგადასახადო ვალდებულებები | | 64.022 | 60.789 |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 14 | 2.206.958 | 1.766.014 |
| **სულ მოკლევადიანი ვალდებულებები** | | **2.270.981** | **1.826.803** |
| **სულ ვალდებულებები** | | **2.270.981** | **1.826.803** |
| **სულ ვალდებულებები და კაპიტალი** | | **8.953.104** | **9.800.972** |

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 6-9 გვერდებზე, ააიპ „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა“ ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 2025 წლის 15 ოქტომბერს, კომპანიის სახელით ფინანსურ ანგარიშგებას ხელს აწერს:

მარინე იოსელიანი
რექტორი

ვასილ ქავთარაძე
მთ. ბუღალტერი

15 ოქტომბერი 2025 წელი

## საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

**2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

*(ქართული ლარი)*

| | გადაფასების რეზერვი | გაუნაწილებელი მოგება/ზარალი | სულ |
|---|---|---|---|
| **2022 წლის 31 დეკემბერი** | **1.790.285** | **6.654.278** | **8.444.563** |
| კაპიტალის ზრდა/ შემცირება | | | - |
| პერიოდის მოგება/ზარალი | | -470.393 | -470.393 |
| **2023 წლის 31 დეკემბერი** | **1.790.285** | **6.183.885** | **7.974.170** |
| კაპიტალის ზრდა/შემცირება | | | - |
| პერიოდის მოგება/ზარალი | | -1.292.045 | -1.292.045 |
| **2024 წლის 31 დეკემბერი** | **1.790.285** | **4.891.840** | **6.682.125** |

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 6-9 გვერდებზე, ააიპ „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა“ ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 2025 წლის 15 ოქტომბერს, კომპანიის სახელით ფინანსურ ანგარიშგებას ხელს აწერს:

მარინე იოსელიანი
რექტორი

ვასილ ქავთარაძე
მთ. ბუღალტერი

15 ოქტომბერი 2025 წელი

## ფულადი ნაკადების ანგარიშგება

**2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

*(ქართული ლარი)*

| | 12/31/2024 | 12/31/2023 |
|---|---|---|
| დაუფარავი ზარალი | **-1.292.045** | **-470.394** |
| **კორექტირებები:** | | |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 620.878 | 523.700 |
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე** | **-671.167** | **53.306** |
| ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნების დავალიანებაში | 251.051 | 585.754 |
| ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში | 624 | -8.791 |
| ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში | 440.944 | 1.562.351 |
| ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში | 3.233 | -32.733 |
| **სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | **24.685** | **2.159.887** |
| | | |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | |
| ფიქსირებული აქტივების შეძენა/ჩამოწერა | (2.376.581) | 187.212 |
| **სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | **-2.376.581** | **187.212** |
| | | |
| **სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | **-** | **-** |
| **ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება** | **-2.351.897** | **2.347.099** |
| ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში | 4.212.454 | 1.865.355 |
| **ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს** | **1.860.558** | **4.212.454** |

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 6-9 გვერდებზე, ააიპ „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა“ ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 2025 წლის 15 ოქტომბერს, კომპანიის სახელით ფინანსურ ანგარიშგებას ხელს აწერს:

მარინე იოსელიანი
რექტორი

ვასილ ქავთარაძე
მთ. ბუღალტერი

15 ოქტომბერი 2025 წელი

**ააიპ „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“**

***ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები***

***2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის***

*(ქართულ ლარში)*

## 1. შესავალი

### *(ა) ძირითადი საქმიანობა*

ააიპ „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“ (შემდგომში -”ჯიპა”) დაფუძნდა 2001 წლის 18 სექტემბერს. საიდენტიფიკაციო კოდი: 204429341. იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, მ. ბროსეს ქ.№2 .

ააიპ „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგანმანათლებო საქმიანობა. ინსტიტუტი არსებული კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს აკადემიური განათლების ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს.

უნივერსიტეტის სტრუქტურაში წარმოდგენილია შემდეგი სკოლები:

- მმართველობის სკოლა;
- ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლა;
- სამართლისა და პოლიტიკის სკოლა;
- სოციალურ მეცნიერებათა სკოლა.

ინსტიტუტში აგრეთვე ფუნქციონირებს „სოფლის მეურნეობის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტი“, რომლის მიზანია სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშესაწყობად უცხოური და ადგილობრივი დონორებისა და მთავრობების მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.

ინსტიტუტის განვითარების კონცეპტუალურ გეგმას და მის პოლიტიკას განსაზღვრავს მისი უმაღლესი მმართველი ორგანო - გამგეობა, რომელიც შედგება ქართველი და ამერიკელი საჯარო, სამთავრობო და აკადემიური წრეების წარმომადგენლობისგან. ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორია ინსტიტუტის რექტორი, რომელსაც ნიშნავს გამგეობა.

### (ბ) *ბიზნეს გარემო*

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა მათი ინტერპრეტირება განსხვავებულად ხდება და ისინი ხშირად ექვემდებარებიან ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

## 2. მომზადების საფუძველი

### *(ა) შესაბამისობის განაცხადი*

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული. კომპანია, სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს ფასს-ების

შესაბამისად, ლარში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასსს“) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს“) შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2024 საანგარიშო წლისთვის.

ფინანსური ანგარიშების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

*(ბ)* შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

*(გ) საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა*

კომპანიის საოპერაციო ვალუტაა ლარი (GEL), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ყველაზე უკეთ ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის წარდგენის ვალუტას.

*(დ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება*

ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობის ინფორმაციით, არ არსებობს რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ უახლოეს მომავალში. შესაბამისად, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

*ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა*

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („ლარი“) რაც ასევე არის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტა.

*უცხოური ვალუტის კონვერტაცია*

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ისტორიული ღირებულებით არიან წარმოდგენილი, გადაყვანილია ლარში, კონვერტირების დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც

სამართლიანი ღირებულებით არიან წარმოდგენილი, გადაყვანილია ლარში, სამართლიანი ღირებულების დადგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებულიფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გადაყვანილია ლარში, ამ დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტის კონვერტირება აღირიცხება ტრანზაქციის დღეს არსებული უპირატესი გაცვლითი კურსით. ამგვარი ტრანზაქციების ანგარიშსწორების და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებების კონვერტირების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი წარმოდგენილია წინამდებარე მოგება-ზარალის ანგარიშში- „ საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი“.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

| | 31 დეკემბერი, 2024 | 31 დეკემბერი, 2023 |
|---|---|---|
| 1 EUR/GEL | 2.9306 | 2.9753 |
| 1 USD/GEL | 2.8068 | 2.6894 |

*შემოსავალი*

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც კომპანია სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე "კონტროლი" მომხმარებელს გადაეცემა.

*სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა*

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის საბაზრო ფასებზე დამოკიდებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება საბაზრო ფასების მიხედვით.

*შემოსავალი*

მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავალის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

*ხარჯების აღიარება*

ხარჯები აღიარებულია შემოსავლის ანგარიშგებაში, თუკი წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური მოგების შემცირება, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯები აღარ იწვევს მომავალ ეკონომიკურ მოგებას, ან თუ მომავალი ეკონომიკური მოგება არ აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს აქტივის ბალანსში აღიარების მოთხოვნებს. კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

შენიშვნები 9-28 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

*იჯარა*

*საოპერაციო იჯარა- კომპანია როგორც მოიჯარე*

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

*დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები*

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურლებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები;
- წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტინის ანაზღაურება;
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულ პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კოსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს. კომპანია ჩართულია სახელმწიფო საპენსიო ფონდში.

*მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები*

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. კომპანიამ აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმვალობაში;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში ; ან
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

*ძირითადი საშუალებები*

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამ ღირებულებაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის ნაწილში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და შედის სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი

კაპიტალიზაციას არ ექვემდებარება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თარიღიდან, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომაროებაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად და ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით:

| | *სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)* |
|---|---|
| შენობები-ნაგებობა | 50 წელი |
| ოფისის აღჭურვილობა | 5 წელი |
| მანქანა დანადგარები | 5 წელი |
| სატრანსპორტო საშუალებები | 7 წელი |
| არამატერიალური აქტივები | 6-8 წელი |
| სხვა ძირითადი საშუალებები | 5-7 წელი |

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს როგორიცაა:

- კომპანიის მიერ აქტივის გამოყენების რეჟიმი;
- სავარაუდო ფიზიკური ცვეთა;
- ტექნიკური და ფიზიკური მოძველება;
- აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება  აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რა პერიოდშიც აქტივის აღიარების შეწყვეტა მოხდა.

**არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება ყოველი ფისკალური პერიოდის ბოლოს.
ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. კომპანია  ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებსაც.
არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

**მარაგები**

საზოგადოების მარაგს წარმოადგენს საკანცელარიო ნივთები, რომელიც ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება გამოიანგარიშება საშუალო შეწონილი პრინციპის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე.

***ფინანსური აქტივები და ვალდებულებები***

***თავდაპირველი აღირება***

*აღიარების თარიღი*

ფინანსურ აქტივებისა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

*თავდაპირველი შეფასება*

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე. თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური აქტივი და ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მაშინ ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

*ფინანსური აქტივების და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები*

კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელიდან და სახელშეკრულებო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზირებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი გამიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიებად „ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები“ (სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გაცემული სესხები, საკონტრაქტო აქტივები და ფული და ფულის ეკვივალენტები) და „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“ (ინვესტიციები წილობრივ ინსტუმენტებში)

*სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ამორტიზირებული ღირებულებით*

კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სხვა ფინანსური ინვესტიციების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

ზემოთხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

*ბიზნესმოდელის შეფასება*

კომპანიის ბიზნესმოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად.

კომპანიის ბიზნესმოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორიც არის, მაგალითად:

- როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;

- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნესმოდელის (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;
- რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);
- მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის შესაფასებლად.

ბიზნეს მოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნესმოდელის შეფასების თარიღით კომპანიის მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნეს მოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

*ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები*

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. კომპანია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების გაუფასურებას ახდენს ფასს-9 ის შესაბამისად.

*სავაჭრო მოთხოვნები*

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგება გრძელვადიან აქტივებში.

*ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურება*

სავაჭრო მოთხოვნების  გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად.

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების  არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპონდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი მოცემულია ქვემოთ:

| | მიმდინარე | < 30 დღეზე | 31-90 დღე | 91-180 დღე | 181-365 დღე | > 365 დღეზე |
|---|---|---|---|---|---|---|
| საკრედიტო ზარალის ანარიცხი (%) | 1.15% | 5.75% | 11.50% | 34.50% | 80.50% | 100.00% |

კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ აღარ ექვემდებარება დაბრუნებას. გაუფასურების რეზერვი გაცემულ სესხებზე აღიარდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელით. კომპანია ითვალისწინებს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ფინანსური აქტივის საწყის აღიარებასთან  შედარებით. იმ შემთხვევაში თუ ადგილი არ აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, კომპანია აფასებს 12 თვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს სრულ საპროცენტო შემოსავალს. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში, ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და აღიარდება სრული საპროცენტო შემოსავალი. საკრედიტოდ გაუფასურებული სესხებისთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და აღიარდება წმინდა საპროცენტო შემოსავალი.

*ფინანსური ვალდებულებები*

შენიშვნები 9-28  გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მიზნიდან გამომდინარე, კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, საიჯარო ვალდებულებებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.
სხვა ფინანსური ვალდებულებები, საწყისი აღიარებისას, შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყისი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

*მიღებული სესხები*

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, კომპანია აფასებს ყველა მიღებულ სესხს ამორტიზებადი ღირებულებით და ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

*ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა*
*ფინანსური აქტივები*

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

*ჩამოწერა*

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან სრულად მას შემდეგ, რაც კომპანია შეწყვეტს თანხის ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდგომ გამოიქვითება საერთო საბალანსო ღირებულებიდან. შემდგომ პერიოდში თანხის ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

*ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა*

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

***საწესდებო კაპიტალი***

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი კომპანიის წესდებით განისაზღვრება. ავტორიზებული კაპიტალის საწესდებო კაპიტალად აღიარება ხდება კომპანიის საკუთარ კაპიტალში კომპანიის მფლობელის მიერ განხორციელებული შენატანების ოდენობით.

*დივიდენდები*

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

*ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები*

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან. კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:
- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

*მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები*

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ინდივიდუალურად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. კომპანიამ აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმვალობაში;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმვალობაში;

შენიშვნები 9-28 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში;ან
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

*სამართლიანი ღირებულების დადგენა*

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აფასებს ფინანსურ ინტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის.

სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ბანკისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია სამართლიან ღირებულებებს აფასებს სამართლიანი ღირებულების შემდეგი იერარქიით, რომელიც ასახავს შეფასებებში გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას.

- დონე 1 ფინანსური ინსტრუმენტები - ესენია შეფასებისას გამოყენებული საშუალებები დაუკორექტირებელი კვოტირებული ფასები აქტიური ბაზრებიდან იდენტური აქტივების ან ვალდებულებების მიმართ, რომლებზეც კომპანიას აქვს წვდომა გაზომვის თარიღამდე. კომპანიას მხოლოდ მაშინ მიაჩნია ბაზარი აქტიურად თუ არსებობს სათანადო სავაჭრო საქმიანობები შესაბამისი მოცულობითა და ლიკვიდურობით იდენტური აქტივებისა და ვალდებულებების და როდესაც საბალანსო თარიღისთვის ხელმისაწვდომია სავალდებულო და გამოყენებადი ფასების კვოტები. მონაცემები რომლებიც გამოყენებულ იქნა შეფასებაში არის დაუკორექტირებელი კვოტირებული ფასი, აქტიური ბაზრებიდან იდენტური აქტივების ან ვალდებულებების მიმართ, რომლებსაც კომპანიას აქვს წვდომა გაზომვის თარიღთან. კომპანია აქტიურად მიიჩნევს ბაზრებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმარისი სავაჭრო საქმიანობა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების მოცულობისა და ლიკვიდურობის თვალსაზრისით და როდესაც არსებობს ბალანსის თარიღის სავალდებულო და განხორციელებადი ფასები.
- დონე 2 ფინანსური ინსტრუმენტები - ესენია შეფასებისას გამოყენებული საშუალებები და რომლებიც არის არსებითი, გამომდინარეობს უშუალოდ ან ირიბად დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებიდან, რომელიც ხელმისაწვდომია ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ასეთი საშუალებები მოიცავს აქტიური ბაზრის მსგავსი აქტივების ან ვალდებულებების კვოტირებულ ფასებს, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთის მრუდი, ნაგულისხმევი ცვალებადობა და საკრედიტო სპრედი.
- დონე 3 ფინანსური ინსტრუმენტები - ისინი რომლებიც მოიცავენ ერთს ან მეტ არასაბაზისო მონაცემებს რომელიც არსებითია მთლიანი შეფასებისათვის.

*მოგების გადასახადი*

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს, რომელიც არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის და საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებულია წინა წლებთან.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო

ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილდება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად.

15 % მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადაანგარიშდება 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შეესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდისთვის, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ფაქტობრივი მოგებიდან გადასახდს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე.

დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდიენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი გადახდილი უნდა იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა-ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც არ აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

საქართველოს საგასასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდით. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

### *საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები*

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

### *ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდგომ*

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ცვლილების დამტკიცება.

## 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ

გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

***ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები***

ძირითადი საშუალებები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაშია აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

## 5. ამონაგები

ამონაგები 2024 და 2023 წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

| | 2024 | 2023 |
|---|---|---|
| შემოსავალი სასწავლო პროგრამებიდან | 7.298.815 | 7.487.294 |
| შემოსავალი სასწავლო ცენტრიდან | 597.305 | 595.839 |
| შემოსავალი ტრენინგებიდან | 208.843 | 184.910 |
| შემოსავალი გრანტებიდან | 3.201.065 | 2.289.309 |
| **სულ** | **11.306.028** | **10.557.352** |

ხოლო სასწავლო პროგამიდან მიღებული შემოსავალი წაროდგენილია შემდეგნაირად 2024-2023 წლებში:

| N | პროგრამის დასახელება | 2024 | 2023 |
|---|---|---|---|
| | **საბაკალავრო პროგრამები** | **5.901.415** | **5.907.631** |
| 1 | ბიზნესის ადმინისტრირება | 887.614 | 900.505 |
| 2 | აუდიო-ვიზუალური ხელოვნება | 665.440 | 883.235 |
| 3 | ვიზუალური კომუნიკაცია | 552.398 | 171.001 |
| 4 | ციფრული მედია და კომუნიკაცია | 692.749 | 595.540 |
| 5 | სამართალი | 664.795 | 678.650 |
| 6 | საერთაშორისო ურთიერთობები | 700.395 | 763.628 |
| 7 | სოციალური მეცნიერებები | 415.458 | 529.370 |
| 8 | ეკონომიკა | 185.770 | 240.688 |
| 9 | ფსიქოლოგია | 663.375 | 609.831 |
| 10 | სოციოლოგია | 179.482 | 217.242 |
| 11 | პოლიტიკური მეცნიერებები | 293.940 | 317.940 |
| | **სამაგისტრო პროგრამები** | **909.854** | **1.177.860** |
| 1 | ბიზნესის ადმინისტრირება | 109.638 | 174.860 |
| 2 | საჯარო მმართველობა | 135.657 | 194.065 |
| 3 | ადგილობრივი თვითმმართველობა | 44.532 | 75.000 |
| 4 | გარემოს დაცვა | 119.329 | 126.764 |
| 5 | მულტიმედიური ჟურნალისტიკა და მედია-მენეჯმენტი | 121.494 | 173.909 |
| 6 | საზოგადოებრივი ურთიერთობები | 181.427 | 249.732 |
| 7 | საერთაშორისო სამართალი | 37.472 | 42.775 |
| 8 | საერთაშორისო ურთიერთობები | 78.376 | 67.375 |
| 9 | ფსიქოლოგია | 81.928 | 73.381 |
| | **PhD** | **50.351** | **74.313** |
| 1 | საჯარო მმართველობა | 42.230 | 49.850 |
| 2 | პოლიტიკის მეცნიერება | 8.121 | 24.463 |
| | **პროფესიული** | **437.196** | **327.491** |

| | | | |
|---|---|---|---|
| | შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი | | |
| 1 | ტექნოლოგიები | 290.703 | 327.491 |
| 2 | ენერგომენეჯმენტი | 79.892 | |
| 3 | განახლებადი ენერგიემის მართვა | 66.600 | |
| | **Total** | **7.298.815** | **7.487.294** |

შემოსავალი სასწავლო ცენტრიდან შეადგენს 2024-2023 წლებში:

| N | დასახელება | 2024 | 2023 |
|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი მენეჯმენტი | 80.780 | 63.710 |
| 2 | მარკეტინგი | 53.300 | 48.200 |
| 3 | ფინანსური მენეჯმენტი | 28.800 | 33.125 |
| 4 | HR | 153.280 | 136.732 |
| 5 | ბიზნესის მენეჯმენტი | 53.075 | 49.020 |
| 6 | მართვის ფსიქოლოგია | 11.040 | 6.420 |
| 7 | ფსიქოლოგიის საფუძვლები | | 20.661 |
| 8 | საზოგადოებრივი ურთიერთობები | 20.850 | 25.500 |
| 10 | სასტუმროს საქმის მენეჯმენტი | 15.000 | 25.690 |
| 11 | კლინიკის მენეჯმენტი | 90.570 | 90.851 |
| 12 | სტრატეგიული კომუნიკაცია | 21.170 | 27.480 |
| 14 | აღზრდის ფსიქოლოგია | 5.390 | |
| 15 | ოპერაციების მენეჯმენტი და ლოჯისტიკა | 64.050 | 46.130 |
| 16 | სპორტის მენეჯმენტი | | 22.320 |
| | **Grand total:** | **597.305** | **595.839** |

შემოსავალი გრანტიდან პროექტების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნირად 2024 წელს:

| **პროექტის დასახელება** | **შემოსავალი გრანტიდან** |
|---|---|
| INTERNATIONAL RESEARCH | 159.158 |
| CLOVEK V TISNI, O.P.S. | 1.141 |
| COMMISSION DES COMMUNAUTES | 11.464 |
| COMMISSION EUROPEENNE | 947.685 |
| DEUTSCHE WELLE ANSTALT DESOEFFENTLICHEN RECHTS | 100.237 |
| INTERNATIONAL FUND FOR | 60.043 |
| INTERNEWS NETWORK | 12.685 |
| MINISTERUL DEZVOLTARII LUCRARILOR | 400.717 |
| THOMSON REUTERS FOUNDATION | 5.137 |
| UNION DES ASSOCIATIONS | 3.011 |
| UNIVERDITY OF NOVI SAD | 63.264 |
| US DEPARTMENT | 2.581 |
| US DISBURSING OFC SYMBOL | 1.026.206 |
| გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ | 1.064 |
| ეკონომიკის გაუმჯობესება ძლიერი საზოგადოებისთვის საქ ფილიალი | 306.833 |
| სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი | 62.173 |
| სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი | 13.784 |
| სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 4.353 |
| შპს დაი გლობალ, საქართველოს ფილიალი | 19.531 |
| **სულ** | **3.201.065** |

შენიშვნები 9-28 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## 6. სხვა შემოსავლები

კომპანიის სხვა შემოსავლები 2024-2023 წლებში მოიცავს შემდეგს :

| | 2024 | 2023 |
|---|---|---|
| საიჯარო შემოსავალი | 78.590 | 133.629 |
| საპროცენტო შემოსავალი | 142.240 | 111.371 |
| შემოსავალი საკურსო სხვაობიდან | 252.728 | 162.388 |
| შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან | | 750.000 |
| სხვა შემოსავალი | 180.972 | 1.276.861 |
| **სულ** | **654.530** | **2.434.249** |

## 7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 და 2023 წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

| | 2024 | 2023 |
|---|---|---|
| პერსონალის ხელფასის ხარჯები | 5.736.277 | 5.711.306 |
| კაპიტალური ხარჯები | 443.590 | 42.749 |
| ინვენტარის ხარჯები | 74.566 | 75.542 |
| ქირის ხარჯები | 754.956 | 539.735 |
| კომუნალური ხარჯები | 177.000 | 171.920 |
| წარმომადგენლობითი ხარჯები | 40.431 | 140.672 |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯები | 1.790.734 | 1.051.788 |
| **სულ ხარჯი** | **9.017.555** | **7.733.713** |
| მოთხოვნების გაუფასურება/გაუფასურების აღდგენა | 127.508 | |
| **წმინდა ხარჯი** | **9.145.063** | **7.733.713** |

## 8. გრანტის ხარჯი

კომპანიის მიერ მიღებულ გრანტზე გწეულია შემდეგი სახის ხარჯი 2024-2023 წლებზე:

| | 2024 | 2023 |
|---|---|---|
| პერსონალის ხელფასის ხარჯები | 1.523.321 | 1.576.925 |
| მარაგების ხარჯი | | 9.308 |
| ქვეგრანტის ხარჯები | 1.079.387 | 538.421 |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯები | 447.109 | - |
| ცვეთა | 151.248 | 164.614 |
| **სულ** | **3.201.065** | **2.289.268** |

## 9. არასაოპერაციო ხარჯი

კომპანიის არასაოპერაციო ხარჯები 2024 და 2023 წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

| | 2024 | 2023 |
|---|---|---|
| საპროცენტო ხარჯი | | 3.353 |
| ცვეთა | 469.630 | 359.085 |
| საკურსო ზარალი | 292.174 | 101.700 |
| საგადასახადო ხარჯი | 4.160 | |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი | 140.512 | 2.974.875 |
| **სულ** | **906.476** | **3.439.014** |

## 10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა 2024 და 2023 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ისტორიული ღირებულება | დაუმთავრებელი მშენებლობა | შენობა-ნაგებობები | სატრანსპორტო საშუალებები | ავეჯი, საოფისე ინვენტარი და სხვა აქტივები | ბიბლიოთეკა წიგნები | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბალანსი 31/12/2023** | **19.844** | **2.483.128** | **129.289** | **2.327.522** | **488.468** | **5.448.250** |
| დანამატები | | | | 2.312.205 | 37.260 | 2.349.465 |
| აქტივების ჩამოწერა | - | | - | -149.984 | | -149.984 |
| **ბალანსი 31/12/2024** | **19.844** | **2.483.128** | **129.289** | **4.489.742** | **525.728** | **7.647.731** |
| | | | | | | |
| **აკუმულირებული ცვეთა 31/12/2023** | **-** | **676.796** | **-** | **1.017.165** | **-** | **1.693.960** |
| ცვეთა პერიოდისათვის | | 49.663 | 18.844 | 538.967 | - | 607.474 |
| ჩამოწერილი აქტივების ცვეთა | | | - | -107.440 | | -107.440 |
| **დაგროვილი ცვეთა 31/12/2024** | **-** | **726.458** | **18.844** | **1.448.692** | **-** | **2.193.995** |
| | | | | | | |
| **აქტივების ღირებულება 31/12/2023** | **19.844** | **1.806.332** | **129.289** | **1.310.357** | **488.468** | **3.754.290** |
| **აქტივების ღირებულება 31/12/2024** | **19.844** | **1.756.670** | **110.445** | **3.041.050** | **525.728** | **5.453.736** |

## 11. არამატერიალური აქტივი

კომპანიის არამატერიაური აქტივი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

| | არამატერიალური აქტივები | სულ |
|---|---|---|
| **ისტორიული ღირებულება** | | |
| **ბალანსი 31/12/2023** | **115.255** | **115.255** |
| დანამატები | 69.661 | 69.661 |
| აქტივების ჩამოწერა | | - |
| **ბალანსი 31/12/2024** | **184.916** | **184.916** |
| | | |
| **აკუმულირებული ცვეთა 31/12/2023** | **63.640** | **63.640** |
| ცვეთა პერიოდისათვის | 13.404 | 13.404 |
| ჩამოწერილი აქტივების ცვეთა | - | - |
| **დაგროვილი ცვეთა 31/12/2024** | **77.044** | **77.044** |
| | | |
| **აქტივების ღირებულება 31/12/2023** | **51.615** | **51.615** |
| **აქტივების ღირებულება 31/12/2024** | **107.872** | **107.872** |

## 12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

| | 2024 | 2023 |
|---|---|---|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 1.344.035 | 869.487 |
| მოთხოვნები დონორების მიმართ | 251.734 | 714.607 |
| წინასწარ გადახდილი ხარჯები | 51.337 | 186.555 |
| **სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები** | **1.647.106** | **1.770.649** |
| **მინუს:გაუფასურების რეზერვი** | 127.508 | |
| **წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები** | **1.519.598** | **1.770.649** |

## 13. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი და ფულის ეკვივალენტები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომაროებით მოიცავს შემდეგს:

| | 31-12-24 | 31-12-23 |
|---|---|---|
| ფული ბანკში GEL | 452.741 | 2.223.677 |
| ფული ბანკში USD | 808.988 | 198.781 |
| ფული ბანკში EUR | 598.828 | 1.730.789 |
| ფული ბანკში SEK | - | 59.208 |
| **სულ** | **1.860.558** | **4.212.455** |

საბანკო ბალანსები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1.860.558 ლარის ოდენობით განთავსებული იყო "BB-" რეიტინგის მქონე ბანკში ფიჩის რეიტინგის მიხედვით (2023 წლის 31 დეკემბერი: 4.212.455 ლარი)

## 14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

| | 2024 | 2023 |
|---|---|---|
| მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქნილი ვალდებულებები | 99.656 | 118.890 |
| მიღებული ავანსები | 458.178 | |
| ვალდებულება დონორების მიმართ | 1.649.124 | 1.647.125 |
| **სულ** | **2.206.958** | **1.766.014** |

## 15. კაპიტალი

კაპიტალი შედგება გადაფასების რეზერვისაგან და გაუნაწილებელი მოგება/ზარალისგან . საანგარიშგებო პერიოდში დივიდენდის გატანა არ განხორციელებულა.

## 16. ფინანსური რისკი

**ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები**

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის. მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. ხელმძღვანელობა ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

რისკის მართვის ფუნქცია კომპანიის შიგნით ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით.

ფინანსური რისკი მოიცავს:

- საკრედიტო რისკს;
- საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და სხვა ფასთა რისკის ჩათვლით),
- და ლიკვიდურობის რისკს.

ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის პირველადი მიზნები არის რისკების ლიმიტების დადგენა, და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკების საფრთხე ამ ლიმიტის ფარგლებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქცია არის შიდა პოლიტიკების და პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა საოპერაციო და იურიდიული რისკები მინიმუმამდე დავიდეს.

სხვა საქმიანობებთან ერთად კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. წინა პერიოდის შემდეგ არ მომხდარა არსებითი ცვლილება რისკების მართვისა და შეფასების მეთოდებში.

*ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები*

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა.

კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა ფული და ფულის ეკვივალენტები. ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური ინსტრუმენტების ძირითად კატეგორიებს.

| | 2024 | 2023 |
|---|---|---|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 1.519.598 | 1.770.649 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 1.860.558 | 4.212.455 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **3.380.156** | **5.983.104** |

| | 2024 | 2023 |
|---|---|---|
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 2.206.958 | 1.766.014 |
| გადასახდელი დივიდენდები | | |
| საიჯარო ვალდებულებები | | |
| სესხები | | |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **2.206.958** | **1.766.014** |

*ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება*

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- **დონე 1:** აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);
- **დონე 2:** თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორიცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს.
- **დონე 3:** არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება;

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. რეალური ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

პროცენტის მატარებელი ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. პროცენტის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური

აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით ან აქვს ფიქსირებული ან მცოცავი საპროცენტო განაკვეთი, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

*კაპიტალის მართვა*

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

*საკრედიტო რისკი*

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არ დაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, საკონტრაქტო აქტივებიდან, გაცემული სესხებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი სახელმწიფო ორგანოა თუ კერძო იურიდიული, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელეების არსებობას. მაღალ რისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ *საკრედიტო რისკს*. ცხრილი გვიჩვენებს *საკრედიტო რისკის* მაქსიმალურ ოდენობას.

| | 2024 | 2023 |
|---|---|---|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 1.519.598 | 1.770.649 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 1.860.558 | 4.212.455 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **3.380.156** | **5.983.104** |

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან სახსრები განთავსებულია კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებში.

კომპანიის ხელმძღვანელობა განიხილავს გადაუხდელი სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობის ანალიზს და მიჰყვება ვადაგადაცილებულ ბალანსებს.

*სავალუტო რისკი*

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

| | USD | EUR | SEK | USD | EUR | SEK |
|---|---|---|---|---|---|---|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 89.687 | - | | 243.236 | - | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 288.224 | 203.961 | - | 198.781 | 1.730.789 | 59.208 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | 377.911 | 203.961 | - | 442.017 | 1.730.789 | 59.208 |
| ვალდებულება დონორებთან | 270.442 | 219.267 | 23.239 | 516.395 | 24.526 | 1.529 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | 270.442 | 219.267 | 23.239 | 516.395 | 24.526 | 1.529 |
| **წმინდა ფინანსური პოზიცია** | 107.469 | -15.306 | -23.239 | -74.378 | 1.706.263 | 57.679 |

შენიშვნები 9-28 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. კომპანიის ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიბმულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

***ლიკვიდურობის რისკი***

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, კომპანიის ვალდებულებების გადახდისუნარიანობას. კომპანია ფრთხილად მართავს ლიკვიდურობას, რაც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ეკვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება. შემდეგი ცხრილები შედგენილი იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით.

ლიკვიდურობის რისკის სამართვად კომპანია იყენებს საკუთარ ფინანსურ აქტივებს, როგორიცაა ფულადი რესურსები.

| | 1 წლამდე | 1-დან 2 წლამდე | 2-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 53.855 | 45.801 | - | - | 99.656 |
| ვალდებულება დონორებთან | 1.015.681 | 633.443 | | | 1.649.124 |
| მიღებული ავანსები | 458.178 | | | | 458.178 |
| სესხები | - | - | | | |
| **სულ 2024** | **1.527.714** | **679.244** | **-** | **-** | **2.206.958** |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 61.182 | 57.708 | | | 118.890 |
| ვალდებულება დონორებთან | 1.534.625 | 112.500 | | | 1.647.125 |
| საიჯარო ვალდებულებები | - | - | | | - |
| სესხები | - | - | | | - |
| **სულ 2023** | **1.595.807** | **170.208** | **0** | **0** | **1.766.015** |

**17. პირობითი ვალდებულებები**

**საგადასახადო კანონმდებლობა**

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**სასამართლო დავები**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნია სასამართლო დავა ლადო ასათიანის ქუჩაზე მდებარე ოფისის ეზოს თანამოზიარესთან. სადაც კომპანია წარმოდგნილია მოპასუხედ. პირველი ინსტაცია დასრულდა კომპანიის სასარგებლოდ. მოსარჩლემ გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება.

**18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან**

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია მსს ფასს -ით „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები", წარმოადგენს:

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტოროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

დ) ოჯახის ახლო წევრები, რომლებიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს, და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები არ ირიცხება ანგარიშებაში.

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შედის შრომის ანაზღაურების ხარჯში:

| | 2024 | 2023 |
|---|---|---|
| ხელმძღვანელობის ხელფასები და ბონუსები | 160.166 | 153.652 |

**19. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.